

შპს ქარელის ხილი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. მარაგები	13
7. ძირითადი საშუალებები	13
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	15
9. სესხები	15
10. საწესდებო კაპიტალი	15
11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	17
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

შპს ქარელის ხილი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	39,331	6,257	4,035
სავაჭრო მოთხოვნები	5	524,118	396,111	325,721
მარაგები	6	472,669	330,110	186,351
სხვა მიმდინარე აქტივები		19,343	9,626	149
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,055,461	742,104	516,256
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	472,818	497,128	592,052
სულ გრძელვადიანი აქტივები		472,818	497,128	592,052
მთლიანი აქტივები		1,528,279	1,239,232	1,108,308
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	315,010	187,914	94,000
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		65,211	37,574	41,401
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		3,557	5,298	18,009
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		383,778	230,786	153,410
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	1,100,625	851,653	1,007,489
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,100,625	851,653	1,007,489
მთლიანი ვალდებულებები		1,484,403	1,082,439	1,160,899
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	908,557	726,039	337,190
აკუმულირებული ზარალი		(864,681)	(569,246)	(389,781)
სულ საკუთარი კაპიტალი		43,876	156,793	(52,591)
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,528,279	1,239,232	1,108,308

აღმასრულებელი დირექტორი

ანანო ბეჟანიშვილი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	39,331	6,257	4,035
სავაჭრო მოთხოვნები	5	524,118	396,111	325,721
მარაგები	6	472,669	330,110	186,351
სხვა მიმდინარე აქტივები		19,343	9,626	149
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,055,461	742,104	516,256
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	472,818	497,128	592,052
სულ გრძელვადიანი აქტივები		472,818	497,128	592,052
მთლიანი აქტივები		1,528,279	1,239,232	1,108,308
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	315,010	187,914	94,000
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		65,211	37,574	41,401
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		3,557	5,298	18,009
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		383,778	230,786	153,410
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	1,100,625	851,653	1,007,489
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,100,625	851,653	1,007,489
მთლიანი ვალდებულებები		1,484,403	1,082,439	1,160,899
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	908,557	726,039	337,190
აკუმულირებული ზარალი		(864,681)	(569,246)	(389,781)
სულ საკუთარი კაპიტალი		43,876	156,793	(52,591)
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,528,279	1,239,232	1,108,308

აღმასრულებელი დირექტორი -----

ანანო ბეჟანიშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	1,101,829	815,145
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(589,308)	(399,891)
საერთო მოგება		512,521	415,254
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(393,674)	(257,787)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(210,383)	(148,818)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(113,815)	(111,717)
სხვა შემოსავლები		196	15,999
სხვა ხარჯები		(713)	(9,975)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(205,868)	(97,044)
საპროცენტო ხარჯი		(26,765)	(59,181)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(62,802)	(23,240)
ზარალი დაბეგვრამდე		(295,435)	(179,465)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(295,435)	(179,465)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		337,190	(389,781)	(52,591)
წმინდა ზარალი		-	(179,465)	(179,465)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	388,849	-	388,849
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	10	726,039	(569,246)	156,793
წმინდა ზარალი		-	(295,435)	(295,435)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	10	182,518	-	182,518
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	10	908,557	(864,681)	43,876

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი დაბეგვრამდე		(295,435)	(179,465)
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		26,765	59,181
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		3,332	1,140
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	113,815	111,717
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი		-	4,015
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(128,007)	(70,390)
ცვლილება მარაგებში		(142,559)	(143,759)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		(9,717)	(9,477)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		127,096	93,914
ცვლილება გადასახდელ ხელფასებსა და სხვა სარგებელში		27,637	(3,827)
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		(1,741)	(12,711)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(278,814)	(149,662)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(89,505)	(20,808)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(89,505)	(20,808)
ფინანსური საქმიანობა			
პროცენტის გადახდა		(26,765)	(56,287)
სესხის აღება/(დაფარვა)		248,972	(158,730)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	10	182,518	388,849
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		404,725	173,832
სავალუტო კურსის ეფექტი*		(3,332)	(1,140)
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა		33,074	2,222
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4	6,257	4,035
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	39,331	6,257

* სავალუტო კურსის ეფექტი ძირითადად განპირობებულია უცხოური ვალუტის შეძენის დროს ლარის კონვერტაციისას წარმოქმნილი ზარალით, რომელსაც იწვევს სხვაობა ეროვნული ბანკის ოფიციალურ გაცვლით კურსსა და კომერციული ბანკის გაცვლით კურსს შორის.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქარელის ხილი დაფუძნდა 2015 წლის 27 თებერვალს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №75, კორ. 10, ბ. 16. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405088569. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური და იურიდიული პირები: გიორგი კვირიკაძე (პ/ნ 01008013283) - 10%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქართული ხილის ფონდი (405338512) – 47.5%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აგროინდუსტრია 2010 (404397201) – 42.5%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხილის გადამამუშავება და ჩირის წარმოება. კომპანიას რეალიზაციას ახდენს როგორც ქართულ ბაზარზე ასევე გააქვს პროდუქცია ექსპორტზე.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - ანანო ბეჟანიშვილი (პ/ნ 01017024704).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. კომპანიის საქმიანობის არსიდან გამომდინარე, COVID-19-ით გამოწვეულ ფინანსურ კრიზისს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა კომპანიის შემოსავლებსა და საქმიანობაზე. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2020 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და მცირედით დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ის ფინანსური უწყისები რომლებიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	6,304	4,033
სავაჭრო მოთხოვნები	417,243	323,392
მარაგები	334,202	191,608
სხვა მიმდინარე აქტივები	9,797	150
სულ მოკლევადიანი აქტივები	767,546	519,183
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	497,128	592,052
არამატერიალური აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	497,128	592,052
მთლიანი აქტივები	1,264,674	1,111,235
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	214,628	99,228
საგადასახადო ვალდებულებები	5,150	15,708
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	37,574	41,401
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	257,352	156,337
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	851,653	1,007,489
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	851,653	1,007,489
მთლიანი ვალდებულებები	1,109,005	1,163,826
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	726,039	337,190
აკუმულირებული ზარალი	(570,370)	(389,781)
სულ საკუთარი კაპიტალი	155,669	(52,591)
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	1,264,674	1,111,235

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	815,009	644,690
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(401,480)	(337,651)
საერთო მოგება	413,529	307,039
კომერციული ხარჯები	(156,034)	(64,373)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(152,088)	(205,701)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(96,858)	(151,280)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(111,717)	(85,508)
სხვა შემოსავლები	44,467	51,662
სხვა ხარჯები	(10,347)	(11,063)
ზარალი პროცენტებამდე და საკუროს სხვაობამდე	(69,048)	(159,224)
საპროცენტო ხარჯი	(87,703)	(46,715)
ზარალი საკუროს სხვაობიდან	(23,838)	(13,121)
ზარალი დაბეგვრამდე	(180,589)	(219,060)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ზარალი	(180,589)	(219,060)

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	15
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და მასალები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “წავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.6 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული საღაროში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-20	31-12-19
ფული საღაროში	556	556
ფული საბანკო ანგარიშებზე	38,775	5,701
სულ	39,331	6,257

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება პროდუქციის ადგილობრივ ქსელებზე რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნებისგან.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-20	31-12-19
მოთხოვნები იურიდიული პირებისგან	511,097	387,471
მოთხოვნები ფიზიკური პირებისგან	13,021	8,640
სულ	524,118	396,111

6. მარაგები

კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და მასალები.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-20	31-12-19
მზა პროდუქცია	314,104	211,517
მასალა და ნედლეული	129,481	108,654
საქონელი	25,462	8,670
ტრანსპორტირება და სხვა პირდაპირი ხარჯები	3,622	1,269
სულ	472,669	330,110

7. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწა	10,000	-	10,000
შენობა-ნაგებობები	259,936	15	259,951
მანქანა-დანადგარები	523,583	43,723	567,306
ოფისის აღჭურვილობა	18,721	250	18,971
ავეჯი და სხვა ინვენტარი	34,576	11,115	45,691
სატრანსპორტო საშუალებები	1,575	34,402	35,977
სულ	848,391	89,505	937,896

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	31,581	18,637	50,218
მანქანა-დანადგარები	294,052	79,510	373,562
ოფისის აღჭურვილობა	13,135	3,878	17,013
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11,685	9,000	20,685
სატრანსპორტო საშუალებები	810	2,790	3,600
სულ	351,263	113,815	465,078

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ჩამოწერა	გადატანა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწა	10,000	-	-	-	10,000
დაუმთავრებელი მშენებლობა	210,447	-	-	(210,447)	-
შენობა-ნაგებობები	46,637	2,852	-	210,447	259,936
მანქანა-დანადგარები	520,183	3,400	-	-	523,583
ოფისის აღჭურვილობა	16,540	2,181	-	-	18,721
ავეჯი და სხვა ინვენტარი	22,201	12,375	-	-	34,576
სატრანსპორტო საშუალებები	8,575	-	(7,000)	-	1,575
სულ	834,583	20,808	(7,000)	-	848,391

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	ჩამოწერა	გადატანა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	12,994	18,587	-	-	31,581
მანქანა-დანადგარები	212,879	81,173	-	-	294,052
ოფისის აღჭურვილობა	9,421	3,714	-	-	13,135
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4,539	7,146	-	-	11,685
სატრანსპორტო საშუალებები	2,698	1,097	(2,985)	-	810
სულ	242,531	111,717	(2,985)	-	351,263

8. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-20	31-12-19
იჯარის ვალდებულებები დამფუძნებელთა მიმართ	62,814	34,184
ვალდებულება ნედლეულისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ	252,196	153,730
სულ	315,010	187,914

9. სესხები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სესხები	31-12-20	31-12-19
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები	453,227	432,115
ბანკებისგან მიღებული სესხები	647,398	419,538
სულ	1,100,625	851,653

ბანკებისგან მიღებული სესხები აღებული იყო ქართული კომერციული ბანკისგან და საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 14%-ს.

10. საწესდებო კაპიტალი

2019 წელს დამფუძნებლებმა კაპიტალი გაზარდეს 388,849 ლარით, ხოლო 2020 წელს 182,518 ლარით. 2020 და 2019 წლებში კომპანიას არ გაუცია დივიდენდი.

11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხილის გადამამუშავება და ჩირის წარმოება. კომპანია რეალიზაციას ახდენს როგორც ქართულ ბაზარზე ასევე გააქვს პროდუქცია ექსპორტზე. 2020

და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-20	31-12-19
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	824,799	761,748
შემოსავალი ექსპორტიდან	277,071	53,397
ფასდათმობები და უკანდაბრუნებები	(41)	-
სულ შემოსავალი	1,101,829	815,145
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(586,326)	(392,644)
უვარგისი და ვადაგასული მარაგების ჩამოწერა	(2,982)	(7,247)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(589,308)	(399,891)
საერთო მოგება	512,521	415,254

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩამლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
გაყიდვების ხარჯები	129,648	97,557
იჯარის ხარჯი	84,204	17,895
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	44,835	16,907
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	33,952	35,222
საწვავის ხარჯი	25,302	23,539
სამეურნეო ხარჯები	13,486	7,489
საკონსულტაციო ხარჯები	12,125	10,093
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	11,737	11,586
ჰიგიენის ხარჯი-დეზინფექცია	7,543	5,201
სხვა	30,842	32,298
სულ	393,674	257,787

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-20	31-12-19
სახელფასო ხარჯი	173,547	122,568
ბონუსები, პენსია და სხვა სარგებელი	36,836	26,250
სულ	210,383	148,818

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

14.1 სესხები

2020 და 2019 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დამფუძნებლებისგან. აღნიშნული სესხების ბალანსები 2020 და 2019 წლების ბოლოს წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხები	31-12-20	31-12-19
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები	453,227	432,115

14.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 37,013 ლარი, ხოლო 2019 წელს 34,923 ლარი.

14.3 იჯარის ხარჯი

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს შენობაში, რომელიც ნაქირავები აქვს დამფუძნებლებისგან. გარდა ამისა, კომპანია ძირითად საქმიანობაში იყენებს მაცივარს, რომელიც ასევე ნაქირავები აქვს დამფუძნებლისგან. 2020 წლის განმავლობაში აღნიშნული ობიექტისა და მაცივრის იჯარის ხარჯმა ჯამურად შეადგინა 74,162 ლარი, ხოლო 2019 წელს 17,792 ლარი. შესაბამისი იჯარის ვალდებულებები წარმოდგენილია 14.4 შენიშვნაში.

14.4 სავაჭრო ვალდებულებები

2020 და 2019 წლების ბოლოს კომპანიას გააჩნდა შემდეგი სავაჭრო ვალდებულებები დამფუძნებელთა მიმართ:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-20	31-12-19
იჯარის ვალდებულებები დამფუძნებელთა მიმართ	62,814	34,184

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.